საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ბონდარენკოს* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: [illegible]

თარიღი: 26.04.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ირაკლი ბონდარენკოს შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის #1/4 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატი ირაკლი ბონდარენკოს შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.
შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციისა და კანდიდატ ირაკლი ბონდარენკოსთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის ირაკლი ბონდარენკოს შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 – 2024

წლებში ირაკლი ბონდარენკოს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ორი ფაქტი (ყველა მათგანი გადახდილია დროულად).

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ მის სამართლიანობას, კეთილსინდისერებას, პატიოსნებას, კორექტულობას პიროვნულ სიმტკიცეს და ა.შ..
გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო მოკრძალებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც მტკიცე, მიუკერძოებელ, შეუვალ, ზეგავლენის მიმართ მედეგ, სამართლიან და პრინციპულ პიროვნებას.

ირაკლი ბონდარენკო არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
აქვე აღსანიშნავია რომ მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრებით მიღებული მთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და ობიექტურად, განსხვავებული მიდგომებით.
გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებაზე და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული მთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი

ადამიანია, მართავს საკუთარ ემოციებს. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა კორექტულობას და კონსტრუქციულობას.
კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის გაწონასწორებულობას, ჰუმანურობას და კორექტულობას.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ბონდარენკოს მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.
რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

პრესაში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია ირაკლი ბონდარენკოს შესახებ, მათ შორის მის მიერ განხილული კონკრეტული საქმეების შესახებ., მისი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში გაკეთებულ განცხადებებზე და სხვა.

5. ფინანსური ვალდებულება

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ირაკლი ბონდარენკოს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მიმაჩნია რომ, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებას.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის ირაკლი ბონდარენკოს შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1.სამართლის ნორმების ცოდნა <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზსა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> - აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ბონდარენკო კარგად ფლობს საქართველოს როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დამაჯერებელი. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ შეკითხვაზე ისაუბრა მოკლედ, განვრცობის გარეშე. ამასთან, ამომწურავად ვერ ისაუბრა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი განმარტებების სავალდებულოობაზე და ა.შ.
კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ იგი ეცნობა, როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას. სამართლებრივი საკითხებზე მსჯელობისას იშველიებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას.
საბოლოო ჯამში მისი მსჯელობა სამართლის ყველა მიმართულებით იყო დამაჯერებელი და ამომწურავი, მან ერთნაირად წარმატებით გაართვა თავი როგორც, სამოქალაქო, ასევე, სისხლის სამართლებრივ საკითხებზე დასმულ კითხვებს.

2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> - მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო, არის არგუმენტირებული. ზოგიერთი სამართლებრივი საკითხის განხილვისას კანდიდატმა საკუთარი მოსაზრება საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით განამტკიცა.

ირაკლი ბონდარენკოს აქვს 25 წლიანი პროფესიული გამოცდილება სხვადასხვა სფეროში და თანამდებობებზე, აქედან 14 წელი და 10 თვე სამოსამართლო გამოცდილება, რომელსაც ასრულებდა მაღალი შეგნებით და პროფესიონალიზმით.

3.წერის უნარი <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს. - შედეგად, მივიჩნევ, რომ</u> - კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და გასაგებად გადმოცემა. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის მარტივად აღსაქმელია. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული

ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება სასვენი ნიშნების სათანადოდ არ გამოყენების შემთხვევები, რაც ჩემი შეფასებით აზრის ნათლად აღქმის შესაძლებლობას ბოლომდე ვერ იძლევა.

4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> - შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი პოზიცია. ზოგადად, დატოვა მშვიდი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად თანმიმდევრულად, ლოგიკურად გამართულად. გასაუბრების პროცესში უმნიშვნელოდ ღელავდა, რაც დროებულად დასძლია.

<u>5.პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)</u> <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის შესახებ არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას საქმეთა განხილვის თაობაზე, პრესასა და მედია საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, მის ქცევას სასამართლო სხდომის წარმართვისას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> - აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ბონდარენკო მიზანდასახული, პრინციპული, საქმისადმი ერთგული, ემოციურად გაწონასწორებული, კეთილსინდისიერი, თავშეკავებული პიროვნებაა.

საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 95.3% ;გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის მაჩვენებელი - 68.4%; გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 94.7%; საანგარიშო პერიოდში (1080დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 67 საქმე. (მხედველობაში მისაღებია, რომ საანგარიშო პერიოდში მოსამართლე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ამდენად საქართველოს იუსტიციის უმაღლესო საბჭოს 2017 წლის 1 მაისის #1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის" მე-5 მუხლის მე-6 **პუნქტის შესაბამისად, მასზე საქმეთა განაწილება ხორციელდება განსხვავებულად, შემცირებული პროცენტული მაჩვენებლებით.)**

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ ირაკლი ბონდარენკო სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

6. **აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა** აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები. - ირაკლი ბონდარენკოს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. პერიოდულად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული

7. **პროფესიული აქტივობა** - მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. - ირაკლი ბონდარენკო არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა, მონაწილეობს ტრეინინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. მას ახასიათებენ, როგორც მუდმივად სიახლეების ძიებაში მყოფ, განვითარებაზე ორიენტირებულ პიროვნებას. ამასთან, იგი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, შესაბამისად, მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივი სისტემისა და მარლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა დისკუსიებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 91 ქულას.

თარიღი: 26.04.2024 г.
ხელმოწერა: